საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 28 თებერვალი, 2024 წელი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 04-01/25

„სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის კულტურული ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ტურიზმის დარგობრივ მახასიათებელთან შესაბამისობაში მოყვანისა და დამტკიცების შესახებ“ ბხსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 26 დეკემბრის №04-01/14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე, 53-ე და 63-ე მუხლების, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის წესდების მე-9 მუხლის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს 2024 წლის 14 თებერვლის №06 საოქმო გადაწყვეტილებისა და განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის წერილის (№08, 15.02.2024) საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის კულტურული ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ტურიზმის დარგობრივ მახასიათებელთან შესაბამისობაში მოყვანისა და დამტკიცების შესახებ“ ბხსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 26 დეკემბრის №04-01/14 დადგენილებაში და დადგენილების პირველი პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1 პუნქტი:

„1^1. კულტურული ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსშეჩერებულმა სტუდენტებმა, რომელთაც გასავლელი დარჩათ მე-8 სემესტრი, მაგრამ არაუმეტეს 30 კრედიტისა, სტატუსის აღდგენის შემდეგ კულტურული ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა დაასრულონ დარგობრივ მახასიათებელთან შესაბამისობაში მოყვანამდე არსებული სასწავლო სტრუქტურით.“.

2. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე **თ. კეჟერაძე**